Sachbeschädigung

Hierunter versteht man die vorsätzliche Beschädigung oder Zerstörung einer fremden beweglichen oder unbeweglichen Sache. Im **deutschen Strafrecht** ist sie nach § 303 dStGB und im **georgischen Strafrecht** nach Art. 187 gStGB strafbar. Die fremde Sache als Tatobjekt muss entweder vollständig vernichtet sein (Zerstörung) oder in ihrer Substanz so erheblich beeinträchtigt sein, dass deren bestimmungsgemäßer Gebrauch nicht mehr möglich ist. Art. 187 gStGB verlangt zudem (im Gegensatz zum deutschen Recht), den Eintritt eines „bedeutenden Schadens", was die Strafbarkeit der Beschädigung geringwertiger Sachen ausschließt. Art. 188 gStGB sieht darüber hinaus die Strafbarkeit für fahrlässige Sachbeschädigungen vor, die das deutsche Recht nicht kennt, wobei auch hier ein „bedeutender Schaden" eingetreten sein muss. Eine Strafbarkeitsausweitung ergibt sich aus § 303 Abs. 2 dStGB, der auch eine erhebliche und nicht nur vorübergehende Veränderung des äußeren Erscheinungsbildes einer Sache (z.B. durch Graffiti) als tatbestandsmäßig normiert. Im Hinblick auf die Qualifikationen enthält Art. 187 Abs. 2 gStGB die Tatbestände des Entzündens eines Feuers (im deutschen Recht teilweise in § 306 StGB, Brandstiftung, geregelt), des Verursachens einer Explosion und der Verwendung eines (sonstigen) allgemeingefährlichen Mittels (im deutschen Recht: § 308 StGB, Herbeiführen einer Sprengstoffexplosion). Darüber hinaus kennt die Norm die Erfolgsqualifikation der fahrlässigen Verursachung des Todes eines (Abs. 3) bzw. mehrerer Menschen (Abs. 4) oder einer sonstigen schweren Folge. Das deutsche Recht enthält Strafschärfungen in § 305 StGB (Zerstörung von Bauwerken) und § 305a StGB (Zerstörung wichtiger Arbeitsmittel). (Mpi/Gtu)

ნივთის დაზიანება

აღნიშნულში მოიაზრება სხვისი მოძრავი ან უძრავი ნივთის განზრახ დაზიანება ან განადგურება. იგი დასჯადია **გერმანულ სამართალში** გსსკ-ის 303-ე პარაგრაფის და **ქართულ სამართალში** სსსკ-ის 187-ე მუხლის შესაბამისად. სხვისი ნივთი, როგორც ქმედების ობიექტი ან სრულად უნდა განადგურდეს ან მატერიალურად იმდენად მნიშვნელოვნად უნდა იყოს დაზიანებული, რომ მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება აღარ იყოს შესაძლებელი. სსსკ-ის 187-ე მუხლი ამასთან ითხოვს (განსხვავებით გერმანული სამართლისგან) „მნიშვნელოვანი ზიანის" დადგომას, რაც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ნაკლები ღირებულების მქონე ნივთების დაზიანებისთვის. ამასთან ერთად, სსსკ-ის 188-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობით ნივთის დაზიანებისთვის, რაც უცნობია გერმანული სამართალისთვის. ამ შემთხვევაშიც სავალდებულოა „მნიშვნელოვანი ზიანის" გამოწვევა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ფართოვდება გსსკ-ის 303-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილით, რომელიც ასევე დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისად განიხილავს ნივთის გარეგნული

იერსახის მნიშვნელოვან და არა მხოლოდ დროებით შეცვლას (მაგ. გრაფიტის საშუალებით). პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების მხრივ, სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას ცეცხლის წაკიდებით (გერმანულ სამართალში ნაწილობრივ დარეგულირებულია გსსკ-ის 306 პარაგრაფით, დაწვა), აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით (გერმანულ სამართალში: გსსკ-ის 308-ე პარაგრაფი, აფეთქება). ამის გარდა, ნორმა იცნობს პასუხისმგებლობის დამძიმებას ერთი (მე-3 ნაწილი) ან რამდენიმე პირისთვის (მე-4 ნაწილი) სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ან სხვა მძიმე შედეგის გამო. გერმანულ სამართალში პასუხისმგებლობა მძიმდება გსსკ-ის 305-ე (შენობების განადგურება) და 305a (მნიშვნელოვანი სამუშაო აღჭურვილობის განადგურება) პარაგრაფებით. (Mpi/Gtu)